



N გ/65
06/03/2019

65-შ-2-201903060928



დავით ქუტიბე
რედაქტორი
FactCheck.ge
კოსტავას ქ. 75გ, თბილისი
Vakho.demuria@gmail.com



ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 25
თარიღი: 7 03 2019

ბატონო დავით,

თქვენი, ამა წლის 18 თებერვლის N41 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ საპენსიო სააგენტოს კომერციულ ბანკებში გახსნილი აქვს ორი ტიპის ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიშები:

- ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიში, რომელზეც სარგებლის დარიცხვა არ ხდება
- ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიში, რომელზე განთავსებულ თანხებსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

ამასთან, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილია საპენსიო სააგენტოს მიმდინარე ანგარიში, რომელსაც ასევე ერიცხება საპროცენტო სარგებელი რეფინანსირების განაკვეთის ოდენობით, რომელიც დღეისათვის წლიურ 6.75%-ს შეადგენს.

2019 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, საპენსიო ფონდში აკუმულირებული სახსრების მთლიანი ოდენობა შეადგენს 79,4 მლნ ლარს, რაც მოიცავს დასაქმებულთა, დამსაქმებელთა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებს, აქედან:

- 37,5 მლნ. ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში გახსნილ ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიშებზე. აღნიშნული თანხა მოიცავს კერძო სექტორის დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებს (ჯამურად 4%);
- 32,7 მლნ. ლარი განთავსებულია სახელმწიფო ხაზინაში საპენსიო სააგენტოს ანგარიშზე. აღნიშნული თანხა მოიცავს სახელმწიფოში (საჯარო სამსახურში) დასაქმებულთა და სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებს (ჯამურად 4%), ასევე სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორში და საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის განხორციელებულ საპენსიო შენატანებს; სახელმწიფო ხაზინაში საპენსიო ანგარიშზე განთავსებულ თანხებთან დაკავშირებით,

საპენსიო დეკლარაციების დახურვის შემდგომ, მოხდება შესაბამისი თანხების გადატანა საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ. საპენსიო სააგენტოს მიმდინარე ანგარიშზე.

9,2 მლნ. ლარი განთავსებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ, საპენსიო სააგენტოს მიმდინარე ანგარიშზე. აღნიშნული თანხა მოიცავს იანვრის თვის განმავლობაში სახელმწიფოში (საჯარო სამსახურში) დასაქმებულების და სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებს.

ქვემოთ არის მოცემული ინფორმაცია, 2019 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, კომერციული ბანკების ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისა და საპროცენტო სარგებლის შესახებ:

	კომერციული ბანკის დასახელება	ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიშზე განთავსებული თანხის ოდენობა	სარგებლის წლიური განაკვეთი
			5%
1	თიბისი ბანკი	19,331,559.40	5%
2	საქართველოს ბანკი	11,441,824.82	5%
3	ლიბერთი ბანკი	2,786,786.31	5%
4	სს "ბაზისბანკი"	655,990.85	რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 1%
5	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	2,346,023.20	5%
6	სს "ხალიკ ბანკი საქართველო"	144,497.33	8,5%
7	სს „სილქ როუდ ბანკი“	72,070.42	რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 2%
8	სს “ კაშა ბანკი“	80,690.48	რეფინანსირებას გამოკლებული 1%
9	სს „ბანკი ქართუ“	131,668.10	6,75%
10	სს "ტერაბანკი"	463,387.31	3%

ნომინალური მფლობელობის ისეთ მიმდინარე ანგარიშებზე, რომელზე განთავსებულ თანხას ერიცხება ზემოთ მოცემული სარგებელი, საპენსიო აქტივების განთავსების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საპენსიო სააგენტოს დირექტორის მიერ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად საპენსიო აქტივებთან დაკავშირებულ საინვესტიციო პოლიტიკას განსაზღვრავს საინვესტიციო საბჭო. ამავე კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად საპენსიო აქტივების ინვესტირებას განხორციელებს საინვესტიციო სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი.

მოგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე, მიმდინარეობს საინვესტიციო საბჭოსა და საინვესტიციო სამსახურის შექმნის, ასევე უფროსი საინვესტიციო ოფიცრის შერჩევის პროცესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, საპენსიო სააგენტო არ ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას და შესაბამისად არ ანთავსებს საპენსიო აქტივებს სადეპოზიტო ანგარიშებზე. საპენსიო აქტივების ნომინალური მფლობელობის ისეთ მიმდინარე ანგარიშებზე განთავსება, რომელსაც ერიცხება სარგებელი, არ წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობას, რამდენადაც ნომინალური მფლობელობის მიმდინარე ანგარიში არ წარმოადგენს სადეპოზიტო ანგარიშს და ასეთ ანგარიშზე თანხის განთავსება არ წარმოშობს რაიმე სახის დამატებით რისკებს. აღნიშნული, წერილობით დადასტურებულ და განმარტებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის დაწყების შემდეგ, იქნება ასეთი საქმიანობის ზედამხედველობის განმახორციელებელი. სწორედ აღნიშნული განმარტების შემდგომ მოხდა საპენსიო აქტივების, ნომინალური მფლობელობის ისეთ მიმდინარე ანგარიშებზე გადატანა, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

პატივისცემით,

ლევან სურგულაძე

დირექტორი

